გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 67

2020 წლის 12 ივნისი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.48.01.042) პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 07 თებერვალს №2685 განცხადებით მომართა შპს „ერედვი 2008" (N 404424413) და მოითხოვა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორის რაიონის სოფ. ტყვიავში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1; N2; N3) ს/კ 66.48.01.042 იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 20 თებერვალს „უძრავი ქონების შეფასების შესახებ" გრ-№14 დასკვნით, სოფ. ტყვიავში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 33260.00 კვ.მ ს/კ 66.48.01.042 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 282710.00 ლარით, შენობა არასაცხოვრებელი ფართი, შენობა N1 – 218.58 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 2185.80 ლარი, შენობა N2 – 99.72 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 997,20 ლარი, შენობა N3 – 167.37 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 1673.70 ლარი.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ტყვიავში მდებარე ს/კ 66.48.01.042, მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების N1,N2,N3 აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის

უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ტყვიავში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.48.01.042) და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1,N2,N3) აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემაზე.

2. გორის რაიონის სოფ. ტყვიავში მდებარე, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 33260.00 კვ.მ ს/კ 66.48.01.042 საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 282710.00 ლარით, შენობა არასაცხოვრებელი ფართი, შენობა N1 – 218.58 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 2185.80 ლარი, შენობა N2 – 99.72 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 997,20 ლარი, შენობა N3 – 167.37 კვ.მ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 1673.70 ლარი.

3. აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა)განხორციელდეს ს/კ 66.48.01.042 უმარავი ქონების (ტერიტორიის) მოვლა-პატრონობა.

ბ)განხორციელდეს ს/კ 66.48.01.042 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

გ)ს/კ 66.48.01.042 მიწის ნაკვეთზე, 2 (ორი) წლის განმავლობაში, ეტაპობრივად განხორციელდეს არანაკლებ 250 (ორასორმოცდაათი) ათასი ლარის ინვესტიცია და დასაქმდეს არანაკლებ 30 საქართველოს მოქალაქე.

4. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 14400 (თოთხმეტი ათას ოთხასი) ლარით.

5.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) წლის ვადით.

6.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე